ლალი მექერიშვილი
ისტორიის სადოქტორო პროგრამა, თსუ
Lali.mekerishvili@tsu.ge

ხატმებრძოლობის დაწყება ბიზანტიის იმპერიაში

საკვანძო სიტყვები: ხატმებრძოლობა, ბიზანტიის იმპერია, ლეონ III ისავრიელი, თეოფანე ჟამთააღმწერელი

Keywords: Iconoclasm, Byzantine Empire, Leo III the Isaurian, Theophanes the Confessor

ბიზანტიის ისტორიაში ხატმებრძოლობის ეპოქას მეცნიერები ისტორიოგრაფიაში „ბნელი საუკუნეების“ სახელით აფასებენ. ეს მოიცავს დაახლოებით ერთსაუკუნოვან პერიოდს 726 წლიდან, ხატმებრძოლობის დაწყებიდან, 843 წლამდე, მის საბოლოოდ დაგმობამდე. VII-VIII საუკუნეები ერთგვარი გადასვლაა ადრეულ ბიზანტიურ პერიოდსა და შუა ბიზანტიურ ხანას შორის. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია სოციალურ-რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილი ფართომასშტაბიანი აჯანყებები. ბიზანტიურმა საზოგადოებამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა, რადგან ხატების წინააღმდეგ ბრძოლამ, პირველ რიგში, ქრისტიანული რწმენის ახლებურად გადააზრების შესაძლებლობა მოიტანა.

ხატების წინააღმდეგ ბრძოლის მოძრაობა, შეიძლება ასე დავარქვათ, გაჩნდა არა მოსახლეობის ქვედა ფენებში, არამედ მოწოდებები წამოვიდა ზემოდან, საიმპერატორო კარიდან. ბიზანტიის იმპერიაში ხატების წინააღმდეგ საბრძოლველად ისავრიელი იმპერატორები, ლეონ III (717-741) და მისი შვილი, კონსტანტინე V (718-775), გამოდიან. ხატების წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა ხშირად მიმდინარეობდა არა რელიგიურ ნიადაგზე, არამედ მას პოლიტიკური ანგრიშსწორების სარჩულიც ჰქონდა.

მოცემულ სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ, თუ რა მიზეზებს შეიძლება გამოეწვია ისავრიელი იმპერატორების მხრიდან ხატების აქტიურად დევნის დაწყების პროცესი. რადგანაც ეს ეპოქა საუკუნეზე მეტი დროის ისტორიულ მონაკვეთს მოიცავს, რაც საკმაოდ დიდი პერიოდია, შევეცდებით, რომ გამოვიკვლიოთ, თუ რა დოქტრინა ჰქონდა თავდაპირველ ეტაპზე ხატების წინააღმდეგ ბრძოლას, რა არგუმენტებით ამართლებდნენ ხატმებრძოლები საკუთარ ქმედებებს და როგორ ტრანსფორმირდება მათი ბრძოლის დოქტრინა. რა მიემატა, ან გამოაკლდა, როდის ჰქონდა მათ ბრძოლას რელიგიური და პოლიტიკური სარჩული, ან საერთოდ ეს ორი სფერო როგორ იყო ერთმანეთზე გადაჯაჭვული.

ახლა რაც შეეხება წყაროთმცოდნეობით ბაზას, მთავარ წყაროს წარმოადგენს თეოფანე ჟამთააღმწერელის ქრონოგრაფია, რომელიც, თვლიან,

რომ დაიწერა ხატმებრძოლობის დაწყებიდან მოგვიანებით, 810-814 წლებში. ქრონოგრაფიაში გადმოცემული ამბები მოიცავს ქრონოლოგიურ ჩარჩოებს დიოკლეტიანეს მეფობიდან 813 წლამდე. მას საყურადღებო ცნობები აქვს გადმოცემული ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე, ხატმებრძოლ და ხატთაყვანისმცემელ იმპერატორთა პოლიტიკის შესახებ. თეოფანე ჟამთააღმწერელი ბიზანტიური ისტორიოგრაფიისთვის უმნიშვნელოვანესი მოღვაწეა. იგი ისტორიკოსი არ ყოფილა, გახლდათ ბერი და ღვთისმეტყველი, მონაწილეობას იღებდა მონასტრებში საღვთისმეტყველო წიგნების გადაწერაში. მის მიერ საისტორიო თხზულების დაწერას მიაწერს საკუთარი მეგობრის, გიორგი სჯინგელოზის თხოვნის ასრულებას. რადგანაც იგი სასულიერო მოღვაწეა, მის საისტორიო თხზულებაში აშკარად იგრძნობა, რომ ხატთაყვანისმცემელთა მხარდამჭერია და ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ მუქ ფერებში აღწერს ხატმებრძოლი იმპერატორების პოლიტიკას.

ხატმებრძოლობის ეპოქის განხილვისას ხშირად საუბარია იმის შესახებ, თუ ზოგადად რატომ დაიწყო ბიზანტიაში ხატების გმობა და ხატთაყვანისმცემელთა აქტიური დევნა, რა იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა ამ ყოველივეს, შემდეგში რა ცვლილებები მოიტანა ხატმებრძოლობის დაწყებამ და როგორ განვითარდა ეს მოძრაობა. სანამ უშუალოდ მთავარ საკითხზე გადავალთ და დავიწყებთ ხატმებრძოლობის წარმოშობაზე საუბარს, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, განვიხილოთ, მანამდე თუ არსებობდა დავა ხატებთან დაკავშირებით.

VII საუკუნისათვის ქრისტიანული ხელოვნება დიდი ხანია გამოსული იყო კატაკომბებიდან და პორტატული ხატები ფართოდ იყო გავრცელებული ბიზანტიის მთელ იმპერიაში (Doom 2005: 75). მათი საჯარო და კერძო თაყვანისცემა ჩვეულებრივი პრაქტიკა გახდა. VII ს-ის ბოლოს ეკლესიის ყურადღება მიიპყრო ხატმა, რომელიც იმდროინდელ ქრისტოლოგიურ დებატებში აღმოჩნდა. საინტერესოა, ჯერ კიდევ 680 წელს კონსტანტინე IV-ის (650-685) ინიციატივით გახსნილ VI საეკლესიო კრებაზე კონსტანტინოპოლში ცალკე ყურადღება დაეთმო საუბარს ქრისტეს გამოსახვასთან დაკავშირებით (Doom 2005: 77). ამ კანონს უდიდესი მნიშვნელობა აქვს განსახილველი თემისთვის, რადგან ეს არის ქრისტიანული ეკლესიის პირველი ოფიციალური შეთანხმებული განცხადება, რომელიც არა მხოლოდ პოზიტიურ ხედვას ხატებისა და მათი თაყვანისცემის მიმართ გვთავაზობს, არამედ აკრძალვებს აწესებს სიმბოლურ ხელოვნებაში. უფრო მეტიც, და რაც მთავარია, ეს კანონი პირველად ოფიციალურად აყალიბებს ურთიერთობას ხელოვნებასა და წინა კრების ქრისტოლოგიურ დაპირისპირებებს შორის.

გამოსახვასთან დაკავშირებით მიღებული შეზღუდვა აისახა 82-ე კანონში, რომელშიც ვკითხულობთ: *„ზოგიეთ პატიოსან ხატზე გამოსახულია წინამოხბედის თითით ნაჩვენები კრავი, რომელიც მიღებულია საღვთო მადლის სახედ და სჯულის მიეს წარმოგვიჩენს ქრისტეს კრავს, ჩვენს ქრისტე ღმერთს. ჩვენ პატივს ვცემთ ეკლესიის მიეს გადმოცემულ ძველ სახეებსა და სიმბოლოებს, როგორც ნიშებ-სასწაულებსა და ქრისტეების გამოხატულებებს, მაგრამ უპირატესად მივიჩნევთ თვით ქრისტეებასა და თავად საღვთო მადლს, როგორც აღსრულებას*

ჰჯუღისას, ამიტომ, ჰათა ფეჰწეჰის ხეღოვნებამ ყვეღას თვაღწინ წაჰმოაჩინოს სჰუღყოფიღება, ვბჰძანებთ ამიეჰიდან სოფღის ცოდვების ამღები კჰავის, ჩვენი ქჰისტე ღმეჰთის სახე ხატებზე გამოისახებოდეს კაცობჰივი ბუნებით ძვეღი კჰავის ნაცვღად და მისი ჭვჰეტით აღვიქვამდეთ სიტყვა ღმეჰთის სიმდაბღეს, ვიხსენებდეთ მის ხოჰციეღ მოღვაწეობას, ვნებასა და მაცხოვნებეღ ჯვაჰცმას და ამ სახით მის მიეჰ სოფღის სიკვდიღისაგან გამოხსნას.“ (ნიკეის წმინდა VII მსოფლიო კრების კანონები).

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ფოკუსირებულია მხოლოდ კრავის სიმბოლოზე, კანონის მნიშვნელობა ბევრად უფრო ვრცელი იყო. აღნიშნულ საკითხს არაერთი მკვლევარი შეეხო, მათგან შეგვიძლია გამოვყოთ პროფესორი ჩარლზ ბარბერი, რომელიც აჯამებს ამ კანონის შედეგებს და აღნიშნავს, რომ კრებამ ვიზუალის კონტროლის აუცილებლობა დაამტკიცა. არსებითად, მაშინ ეს კანონი წარმოადგენდა თეოლოგიურ პოზიციას, რომელიც ხაზს უსვამდა ღმერთის წარმოდგენის თეოლოგიურ შედეგებს (Barber 2004: 40).

პირველი ექვსი საეკლესიო კრების დელეგატები იბრძოდნენ გაეგოთ და განესაზღვრათ ქრისტეს ბუნება და პიროვნება მხოლოდ სიტყვების საშუალებით. 82-ე კანონმა ახლა გააღო კარი იმავე ბრძოლისთვის, რომელიც ასევე ვიზუალური გამოსახულების საშუალებით წარიმართა (Barber 2004: 40).

ხატების საკითხი შემდეგში მართლაც ჩაერთო მწვავე ქრისტოლოგიურ დებატებში, რამაც სათავე დაუდო ხატმებრძოლობის წარმოშობას. ხატების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება დაკავშირებულია ბიზანტიის იმპერატორის, ისავრიელთა დინასტიის დამაარსებლის, ლეონ III-ის (717-741) სახელთან. ამ მხრივ, ყურადღება შეგვიძლია გავამახვილოთ, თუ რა მიზეზები ედო საფუძვლად მის გადაწყვეტილებას, რომ ხატების წინააღმდეგ ბრძოლა დაეწყო.

726 წლის ზაფხულში ვულკანი ამოიფრქვა ეგეოსის ზღვაში კუნძულ თერასთან (თანამედ. სანტორინი) ახლოს. ლეონმა ეს კატასტროფა განმარტა, როგორც ღვთის აშკარა უკმაყოფილება და ნიშანი იმისა, რომ ქრისტიანები კერპთაყვანისმცემლობის გამო იყვნენ ცოდვილნი (Mango 1975: 2). თეოფანე ჟამთააღმწერელის გადმოცემით, 726 წლის ზაფხულში თერაში ხალხი არც ფიქრობდა იმაზე, რაიმე გააკეთეს თუ არა ღვთის ნების დასაკმაყოფილებლად (Theophanes the Confessor 1997: 559). თერას ვულკანური ამოფრქვევა იმპერატორ ლეონ III-სთვის ბოლო წვეთი იყო. მისი რწმენით, ეს შეიძლება მხოლოდ ერთი რამის აღმნიშვნელი ყოფილიყო, რომ ღვთის რისხვა იღვრება ბიზანტიის იმპერიაში და მისი საქმე იყო მიზეზის პოვნა. ამის შესაბამისად, ლეონმა გასცა ბრძანება, რომ ქრისტესა და წმინდანთა გამოსახულებები ჩამოეხსნათ, რადგან მისი წარმოდგენით ხატების თაყვანისცემა ასოცირდებოდა კერპთაყვანისცემასთან და შესაბამისად, ბიზანტიელებს უარი უნდა ეთქვათ კერპთაყვანისცემაზე (Theophanes the Confessor 1997: 559). სწორედ, შესაძლებელია, ამის შემდეგ ჯარისკაცები გაიგზავნენ ქრისტეს იმ ცნობილი გამოსახულების ჩამოსახსნელად, რომელიც იყო საიმპერატორო სასახლის მთავარი შესასვლელი კარიბჭის ზევით, როგორც ცნობილია, ხალკეს[1] ბრინჯაოს კარიბჭის სახელით

[1] ხალკე მოოქროვილი ბრინჯაოს კრამიტით იყო დაფარული და ამიტომ დაარქვეს ეს სახელი.

(Theophanes the Confessor 1997: 559-560). მოსახლეობისთვის ქრისტეს ეს ხატი ღვთის მფარველობას წარმოადგენდა, სწორედ ეს ხატი იყო ყველაზე გამორჩეული, რადგანაც ლეონმა მისი საჯაროდ მოხსნა გადაწყვიტა (Mango 1975: 2). ქრისტიანმა ხატთაყვანისმცემლებმა ჯარისკაცებს რიგი წინააღმდეგობა გაუწიეს, რასაც რამდენიმე ქრისტიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ხატმებრძოლობის დაწყებიდან ეს იყო პირველი მსხვერპლი ხატების დამცველთა რიგებიდან, რითაც ხატმებრძოლობის პირველი ეტაპი დაიწყო (Mango 1975: 1). ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებ, კონკრეტული ოფიციალური ბრძანება ედო თუ არა საფუძვლად ჯარისკაცთა მოქმედებას. მხოლოდ 730 წლის იანვარში ლეონმა ოფიციალური კრება მოიწვია, რათა ხატების წინააღმდეგ ბრძოლა გაეფორმებინა (Mango 1975: 2). ამ პერიოდში კონსტანტინოპოლის პატრიარქი იყო გერმანე (715-730), რომელმაც კატეგორიული უარი განაცხადა განკარგულებაზე ხელი მოეწერა, რის გამოც, გადაასახლეს და მის ნაცვლად პატრიარქი ანასტასი (730-754) გახდა (Mango 1975: 2). იგი პატრიარქის პოსტის სანაცვლოდ არ იყო წინააღმდეგი ეკლესია ჩარეულიყო ხატმებრძოლობაში (Doom 2005: 71).

რადგანაც ხატმებრძოლობის საწყის ეტაპზე მთავარ ფიგურად ჩანს იმპერატორი ლეონ III, უმჯობესია, რომ დაისვას კითხვა, ნამდვილად იყო თუ არა იგი ქეშმარიტი ხატმებრძოლი?

ადრე უდავოდ ვარაუდობდნენ, რომ იმპერატორი ლეონ III იყო მგზნებარე ხატმებრძოლი, პასუხისმგებელი ხატების წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის დაწყებაზე, ქრისტეს გამოსახულების ჩამოღებით სასახლის მთავარი საზეიმო შესასვლელიდან, ხალკეს კარიბჭიდან, შესაძლოა, ეს იყო ერთგვარი რეაქცია ვულკანის ამოფრქვევაზე ეგეოსის ზღვის კუნძულზე. ეს ვარაუდი ძირითადად ემყარება სამ დოკუმენტს, რომელთა სანდოობაში ეჭვის შეტანა შეიძლება (Brubaker 2012: 27-28).

პირველი დოკუმენტი არის პაპების წიგნი (Liber Pontificalis), რომელიც აღწერს VIII-IX საუკუნეების მოვლენებს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი რამ არის დაწერილი პაპების თვალსაზრისით და რომისა და იტალიის ამბები დომინირებს, ბიზანტიის ამბებიც მეტ-ნაკლებად გადმოცემულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რომის პაპი კონფლიქტში იყო იმპერატორთან კონსტანტინოპოლში. ლეონ III-ის ზეობის დროს, გრიგოლ II-ისა (პაპი 715-731) და გრიგოლ III-ის (პაპი 731-741) ჩანაწერები ლეონს ეხება სხვადასხვა მომენტში. არსებობს სამი მოკლე ამბავი ლეონის ქმედებების შესახებ ხატების წინააღმდეგ, მაგრამ ყველა ეს ამბავი მოგვიანო პერიოდის ჩამატებებია და ძნელია დავასკვნათ, რომ სანდო ცნობას წარმოადგენს (Brubaker, Haldon 2001: 277; Brubaker 2012: 28). მეორე და მესამე წყარო, რომლებიც ეხება ლეონს და გამოსახულების განადგურებას, არის სტეფანე უმცროსის ცხოვრება და თეოფანე ჟამთააღმწერელის ქრონოგრაფია. მათი სანდოობაც საეჭვოა, რადგან ორივე წყაროს ავტორი არის ანტიხატმებრძოლე და ორივე დაიწერა 80 წლის შემდეგ იმ მოვლენებიდან, რომლებსაც ისინი აღწერენ. სტეფანე უმცროსის ცხოვრების ავტორსა და თეოფანე ჟამთააღმწერელს სურთ შეურაცხყოფა მიაყენონ ლეონ III-ს და განსაკუთრებით მის ძეს, კონსტანტინე V-ს (741-775). წმინდა

სტეფანე უმცროსის ცხოვრება, დაწერილი 807 ან 809 წლებში, გვეუბნება, რომ იმპერატორმა ლეონმა გაგზავნა ჯარისკაცი ქრისტეს გამოსახულების მოსახსნელად, თუმცა ქალების გარკვეულმა ჯგუფმა მას წინააღმდეგობა გაუწია და გზაში მოკლეს (Brubaker 2012: 28). სწორედ ეს ჯგუფი შემდეგ საპატრიარქოსკენ დაიძრა და მომხდარში პატრიარქი ანასტასი დაადანაშაულეს, რის გამოც, პატრიარქი გაიქცა იმპერატორთან (Brubaker 2012: 28-29). მსგავსი სიუჟეტის წარმოდგენით ქალები ხატის დამცველებად არიან წარმოდგენილნი. სუსტი ქალები გამოყვანილი არიან გამარჯვებულებად ბოროტ, მაგრამ ძლიერ სახელმწიფო მოხელესა და პატრიარქზე (Brubaker 2012: 28-29). ამ ამბის განსხვავებული ვერსია გამოჩნდა რამდენიმე წლის შემდეგ (810 და 814 წლებს შორის) თეოფანე ჟამთააღმწერელის ქრონოგრაფიაში, სადაც ქალაქის მოსახლეობამ მოკლა იმპერატორის მიერ წარგზავნილი რამდენიმე კაცი, რომლებმაც ჩამოიღეს ქრისტეს გამოსახულება, რის შედეგადაც მათ წინააღმდეგ მებრძოლი ხატთაყვანისმცემლები დასაჯეს ჭეშმარიტი რწმენის გამო დასახიჩრებითა და გადასახლებით (Theophanes the Confessor 1997: 559-560). ამ ორ ცნობას შორის მსგავსება აშკარაა, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ერთი და იგივე აზრი გადმოცემულია სხვადასხვა ჯგუფის უდანაშაულო მსხვერპლთა როლის მინიჭებით. რამდენად ემყარება რომელიმე ეს ვერსია რეალურ მოვლენებს, შეუძლებელია იმის თქმა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ არსებობს ლეონის სიცოცხლეში დაწერილი ცნობები, რომელიც მხარს უჭერს თეოფანეს ან სტეფანეს ცხოვრების ავტორის მიერ მოთხრობილ ისტორიებს 800 წლის შემდეგ. ამავე დროს, ხალკეს კარიბჭესთან არსებული ქრისტეს გამოსახულების მოხსნის გარდა, ლეონის იმპერატორობის დროს სხვა გამოსახულებების განადგურების კონკრეტული მაგალითები არ არსებობს (Mango 1975: 3), თუმცა პატრიარქი გერმანე საუბრობს მასშტაბურ გადასახლებაზე, ხატმებრძოლთა მიერ ფრესკული მხატვრობის განადგურებასა და წმინდანთა ნაწილების დაწვაზე (Brubaker 2012: 29).

ასევე აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ დაიწყო ბიზანტიაში ხატმებრძოლობა. თანამედროვე ისტორიკოსებმა მრავალი განსხვავებული ახსნა მოგვაწოდეს ლეონ III-ის დროს „ოფიციალური“ ხატმებრძოლობის გაჩენის შესახებ და ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. თეოფანე ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ ლეონის ხატმებრძოლი პოლიტიკა ებრაელებისა და არაბების გავლენის შედეგი იყო (Theophanes the Confessor 1997: 560). მიუხედავად იმისა, რომ იუდაიზმიც და ისლამიც ორივე იყო ხატმბრძოლი სენტიმენტებით წარმოდგენილი, არ არსებობს საფუძველი იმის დასაჯერებლად, რომ ამ რელიგიების მაგალითები იყო ბიზანტიური ხატმებრძოლობის საბოლოო მიზეზი. თეოფანე, რა თქმა უნდა, ქმნის დამაბნეველ ამბავს, რომელიც აკავშირებს ლეონის პოლიტიკას არაბ ვაზირთან და ებრაელ ჯადოქართან, რომლებსაც, სავარაუდოდ, გავლენა უნდა ჰქონოდათ იმპერატორზე (Gregory 2009: 254). დღეს მეცნიერთა უმეტესობა ეჭვს ქვეშ აყენებს რაიმე ასეთი გავლენის არსებობას. ზოგიერთი ისტორიკოსი ხატმებრძოლთა დაპირისპირებას განიხილავს, როგორც ბრძოლას იმპერიის

აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს შორის, სადაც აღმოსავლეთი მხარს უჭერს ხატმებრძოლობას. ალტერნატიულად, დაპირისპირება განიხილება, როგორც ბრძოლა „აღმოსავლურ“ და „დასავლურ“ (ან ბერძნულ) ელემენტებს შორის ბიზანტიურ ცივილიზაციაში (Gregory 2009: 254-255).

ჩვენთვის ასევე საინტერესოა ინგლისელი ბიზანტიოლოგის კირილ მანგოს მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ემყარება ლეონის წარმომავლობის საკითხს. ლეონი წარმომავლობით გერმანიკიდან გახლდათ, რაც სირიულენოვან გარემოში არაბთა საზღვრიდან არც თუ ისე შორს იყო. მკვლევარი ასკვნის, რომ შესაძლებელია, მის აღმოსავლურ წარმომავლობას გარკვეული გავლენა ჰქონდა მის რელიგიურ მრწამსზე და არაბების მსგავსად, ხატების თაყვანისცემას ჭეშმარიტი გზიდან გადახვევად მიიჩნევდა (Mango 1975: 2). კიდევ ერთი შეხედულებით ხატმებრძოლობა უბრალოდ იმპერატორის ავტოკრატიის შედეგი იყო და ბრძოლა შეიძლება ჩაითვალოს როგორც დაპირისპირება იმპერატორსა და ხატს შორის, როგორც ღმერთის წარმომადგენელთან დედამიწაზე (Gregory 2009: 254-255). ამ უკანასკნელ ინტერპრეტაციას, ალბათ, აქვს გარკვეული მართებულობა, რადგან არსებობს მნიშვნელოვანი მტკიცებულება ლეონის მტკიცე მოაზროვნე მმართველობის შესახებ და, ისევე როგორც ბევრი იმპერატორის მსგავსად, მანამდე, ის, რა თქმა უნდა, ფიქრობდა, რომ მას შეეძლო დამოუკიდებლად გადაეწყვიტა რწმენის საკითხები (Gregory 2009: 254-255). მიუხედავად ყველა ამ თეორიისა, ლეონის მოქმედების ყველაზე დამაჯერებელი ახსნა, როგორც ჩანს, მაინც მისი პირადი რწმენაა.

ბიზანტიელთა ხედვით, რელიგიური დოქტრინის დაცვა მტკიცედ იყო დაკავშირებული სახელმწიფოს სამხედრო და პოლიტიკურ წარმატებაზე. არაბები მეორედ შემოსვლის დროს დაეპატრონენ მცირე აზიის უდიდეს ნაწილს. 723-724 წლებში დაეცა იკონიონი და 727 წელს არაბებმა ალყა შემოარტყეს ნიკეას (Mango 1975: 2). ამ ალყის დროს ერთ-ერთმა ოფიცერმა სახელად კონსტანტინემ დაამსხვრია ღვთისმშობლის ხატი და ქალაქი გადარჩა (Mango 1975: 3). ხატთაყვანისმცემლები აღნიშნული ამბის განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვაწვდიან. რომლის მიხედვითაც, კონსტანტინე ჩადენილი მკრეხელობის შემდეგ მაშინვე გარდაიცვალა და ნიკეას გადარჩენას 318 წმინდა მამის პორტრეტებს მიაწერენ, რომლებიც მთავარი ეკლესიის კედლებს ამშვენებდა (Mango 1975: 3).

თეოფანეს გადმოცემით, ლეონმა დაიწყო განცხადებების გაკეთება ხატების გატანის შესახებ, რაზეც პაპმა გრიგოლ II-მ საპასუხო წერილი გასცა, რომელშიც განმარტავდა, რომ იმპერატორს არ ჰქონდა უფლება რწმენის საკითხებზე ესაუბრა და ცვლილება შეეტანა ეკლესიის მიერ მიღებულ დადგენილებებში (Doom 2005: 86). ლეონი ამტკიცებდა, რომ ხელით შესრულებული ნებისმიერი სახის მსგავსებას ცასა თუ დედამიწაზე ხალხმა თაყვანი არ უნდა სცეს. რომის პაპის წერილებიდან თითქოს ისიც ჩანს, რომ ლეონი პაპს დაემუქრა პეტრეს ხატის განადგურებით და ამისთვის ჯარისკაცებს გააგზავნიდა იტალიაში (Doom 2005: 87).

ლეონის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ჩვენი აზრით, უფრო მარტივად გამოიყურება. ის იყო წარმატებული სამხედრო ლიდერი, რომელიც იმპერიის

გაძლიერებაზე ზრუნავდა და ტახტზე საკუთარი ვაჟის ლეგიტიმურად დასმას ცდილობდა, ამის გამოხატულებაა მონეტაზე ჯვრის გაქრობა და საკუთარი ვაჟის გამოსახვა (Herrin 1975: 19). მას, როგორც წარმატებულ პოლიტიკურ ლიდერს, არ დარჩენია იმპერიის მართვისას არც ერთი სფერო, რომელშიც ცვლილება არ შეეტანა და ამასთანავე, რელიგიური სფეროც. როგორც ინგლისელი ბიზანტიოლოგი ჯუდი ჰერინი აღნიშნავს, ის რეფორმატორია, რომელიც რეფორმებს ახორციელებდა სამხედრო, ეკონომიკურ, საკანონმდებლო სფეროებში და რელიგიური ასპექტიც არ დარჩენია უყურადღებოდ (Herrin 1975: 18), მაგრამ ის არ იყო თეოლოგი, რომ მყარი დოქტრინული ბაზა შეექმნა, როგორც შემდეგ მოხდა, მისი შვილის იმპერატორობისას. ამიტომ ხატმებრძოლობის დაწყების საწყის ეტაპზე ხატმებრძოლთა ბრძოლას ხატების წინააღმდეგ არ ჰქონდა მყარად შემუშავებული თეოლოგიური იდეოლოგია საფუძვლად, ის ქაოსურად მიმდინარეობდა.

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა:

- **ნიკეის წმინდა VII მსოფლიო კრების კანონები:** ნიკეის წმინდა VII მსოფლიო კრების კანონები განმარტებებით, თარგმნა და მოამზადა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, თბ. 2004; http://library.church.ge/index.php?option=com_content&id=155:-vi-v- (ბოლოს დამოწმებულია: 10.02.2024).
- **Barber 2002:** Barber Charles, Figure and Likeness – on the Limits of Representation in Byzantine Iconoclasm. Princeton University Press, 2002;
- **Brubaker 2012:** Brubaker Leslie, Inventing Byzantine Iconoclasm, Bristol Classical Press, 2012;
- **Brubaker, Haldon 2001:** Brubaker Leslie, Haldon John, Byzantium in the Iconoclast Era (C. 680-850): The Sources, Centre for Byzantine, Ottoman and Modem Greek Studies University of Birmingham, 2001;
- **Doom 2005:** Doom Erin Michael, Patriarch, Monk and Empress: A Byzantine Debate Over Icons, Wichita State University, 2005;
- **Epstein 1975:** Epstein Wharton, The 'Iconoclast' Churches of Cappadocia, Iconoclasm, Edited by A. Bryer and J. Herrin, University of Birmingham, 1975, გვ. 103-113;
- **Gregory 2009:** Gregory Timothy, A History of Byzantium, Blackwell Publishing Ltd, 2009;
- **Herrin 1975:** Herrin Judith, The context of iconoclast reform, Iconoclasm, Edited by A. Bryer and J. Herrin, University of Birmingham, 1975, გვ. 15-21;
- **Hussey 1986:** Hussey Joan Mervyn, The Orthodox Church in Byzantine Empire, Oxford University Press, 1986;
- **Mango 1975:** Mango Cyril, Historical Introduction, Iconoclasm, Edited by A. Bryer and J. Herrin, University of Birmingham, 1975, გვ. 1-7;
- **Theophanes the Confessor 1997:** The Chronicle of Theophanes Confessor Byzantine and Near Eastern History AD 284-813, Translated with introduction and commentary by C. Margo and R. Scott, Clarendon Press: Oxford, 1997;
- **Treadgold 2012:** Treadgold Warren, Opposition to Iconoclasm as Grounds for Civil War, Byzantine War Ideology Between Roman Imperial Concept and Christian Religion, Wien, 2012, გვ. 33-39.

Lali Mekerishvili
Ph.D. Program in History, TSU

THE BEGINNING OF ICONOCLASM IN THE BYZANTINE EMPIRE
(SUMMARY)

One of the most pivotal and intriguing eras in the history of Byzantium is the period of iconoclasm, which historians refer to as the "Dark Ages". The interval between the 7th and 8th centuries represents a transitional phase between the Early Byzantine and the Middle Byzantine periods. This era is distinguished by extensive rebellions driven by socio-religious motivations. Byzantine society underwent a transformation as a result of the struggle against icons. This provided an opportunity to rethink the Christian faith, which is the main part of the spiritual culture of the people.

The movement against icons did not originate from the lower classes, but from the imperial court. In the Byzantine Empire, the Issyrian emperors Leo III (717-741) and his son Constantine V (718-775) were prominent figures in the struggle against icons. The battle against icons was often not fought on religious grounds alone, but also had a political content.

This article examines the reasons for the active persecution of icons by the Issyrian emperors. As this era encompasses a historical period of over a century, which is a considerable length of time, it is of interest to examine the doctrinal basis of the struggle against icons in its initial stage, the arguments with which the iconoclasts justified their actions, and to outline how the doctrine of their struggle changed over time. This will involve an examination of what was added or subtracted when their struggle had a religious and a political content, or how these two areas were intertwined.